

ტელეკომპანია პირველის თვითრეგულირების კომისიის კრების ოქმი N 2

ქ. თბილისი
14 თებერვალი, 2020 წ.

ესწრებოდნენ:

ნანა აბურჯანიძე - „ტელეკომპანია პირველი“-ს კომერციული დირექტორი;
გიორგი დარჯანია - „ტელეკომპანია პირველი“-ს მულტიმედია არხების ხელმძღვანელი;
ლევან კირვალიძე - გადაცემა „რეაქციის“ პროდიუსერი.

დღის წესრიგი:

მოქალაქე თამარ კაპანაძის საჩივრის განხილვა.

მოისმინეს:

ნანა აბურჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო მოქალაქე თამარ კაპანაძის საჩივარი, რომელიც ეხებოდა 2019 წლის 5-დან 8 ნოემბრამდე ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში გასულ ცალკეულ სიუჟეტებს მხატვრული ფილმის „და ჩვენ ვიცევეთ“ ქართულ პრემიერასთან დაკავშირებით. ინგა გრიგოლიას საავტორო გადაცემა „რეაქციაში“, ვახო სანაიას გადაცემა „დამის ამბებში“ და „საინფორმაციო გამოშვება „პირველში“ გასულმა სიუჟეტებმა, საჩივრის ავტორის მოსაზრებით, წახალისა ნეგატიური წინასწარგანწყობის დამკვიდრება, სტერეოტიპებისა და აგრესიის გაძლიერება ლგბტ თემისა და ფილმის სანახავად მისული მაყურებლის მიმართ.

საჩივარი გამოგზავნილია 2019 წლის 18 ნოემბერს ელექტრონულ ფოსტაზე: info@tvpirveli.ge

კომისიის წევრებმა ტელეკომპანიის არქივიდან გამოითხოვეს მასალები, დეტალურად განიხილეს საჩივარში მითითებული ვიდეობმული https://www.youtube.com/watch?v=sT2te9_G0RQ და შეაჯამეს ფაქტობრივი გარემოებები:

1. საჩივრის ავტორი ხაზს უსვამს გადაცემა „რეაქცია“-ში ზემოაღნიშნული ბმულის 04:20 წუთიდან სანდრო ბრეგაძის საუბარს, რომ ის (სანდრო ბრეგაძე) არ დაუშვებს გარყვნილების პროპაგანდას და მშვიდობიანი გზებით ხელს შეუშლის ფილმის პრემიერას. მიუხედავად იმისა, რომ საავტორო გადაცემების პირდაპირი ეთერის დროს, შეუძლებელია გადაცემის ავტორმა წინასწარ განსაზღვროს, თუ რას იტყვის მისი რესპონდენტი, წამყვანი ინგა გრიგოლია, იქამდე სანამ სანდრო ბრეგაძე დაიწყებდა საუბარს (გთხოვთ იხილოთ, 03:11 წუთიდან, ამავე ბმულში) რესპონდენტს ეუბნება, რომ არის მართებული იმ ფილმის პრემიერის ჩაშლა, რომელიც ასეთი წარმატებულია და ყველას აქვს უფლება ნახოს ეს ფილმი. ასევე უსვამს კითხვას: „რატომ უკრძალავენ ადამიანებს პრემიერაზე მისვლას?“
2. გადაცემის წამყვანი ქართული მარშის ლიდერს უწევს ოპონირებას და რამდენჯერმე იძლევა შენიშვნას, რომ პროტესტის გამომხატველი ჯგუფების მხრიდან აღქმული „ვაჟვაცობა“ არ განისაზღვრება ჩოხა-ახალუხით. არ აძლევს რესპონდენტს საუბრის დასრულების საშუალებას, არ პასუხობს რესპონდენტის კითხვაზე „არის თუ არა კოლგოტიანი კაცი ვაჟვაცი“ და გადადის შემდეგ სტუმართან.
3. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სანდრო ბრეგაძეს ჰქონდა საშუალება სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ადამიანთა ჯგუფის დისკრიმინაციის და მათი შეურაცხყოფის -

თუმცა, სრული სურათის წარმოსაჩენად განმეორებით უნდა აღინიშნოს, რომ გადაცემის წამყვანი სანდრო ბრეგაძეს უწევს ოპონირებას და აფიქსირებს რომ მისთვის გაუგებარია რას ნიშნავს „გეი პროპაგანდა“ ფილმით და რა შეუაშა ფილმთან ვაჟვაცობის კრიტერიუმები. აღნიშნავს, რომ პირადად სანდრო ბრეგაძის შეხედულებების გამო არ შეიძლება სხვა ადამიანებს ხელი შეეშალოთ, გამოიყენონ საკუთარი უფლება. ასევე წამყვანს მაგალითად მოჰყავს ფილმები მკვლელობაზე და სანდრო ბრეგაძეს უსვამს დამაზუსტებელ კითხვას, მათი შეხედულებიდან გამომდინარე, თუ ფილმი არის მკვლელობაზე, შეიძლება თუ არა ასეთი ფილმები ჩაითვალოს მკვლელობის პროპაგანდად?! (გთხოვთ იხილოთ, ბმულის მე-10 წუთი).

4. ინგა გრიგოლიას მხრიდან ისმის კითხვა: „რას ნიშნავს არ მისცემთ ფილმის ჩატარების უფლებას?“, რაზეც პასუხის დროს რესპონდენტს არ აძლევს მოწოდებების გაუდერების საშუალებას და აწყვეტინებს სიტყვას.
5. მთელი გადაცემის განმავლობაში ინგა გრიგოლია არ გამოხატავს არანაირ განსხვავებულ პოზიციას მეორე სტუმრის მიმართ და არ უსმევს მას არანაირ დამაზუსტებელ თუ კრიტიკულ კითხვებს. ამის პარალელურად წამყვანს კრიტიკული კითხვები აქვს მხოლოდ სანდრო ბრეგაძის მიმართ.

თავისი ქმედებით გადაცემის ავტორი ემიჯნება რესპონდენტის პოზიციას და ასევე ასრულებს „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას (“თუ წყარო პირდაპირ ეთერში ან ახალ ამბებში უსაფუძვლოდ ასახელებს ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიურ მრწამს, სექსუალურ ორიენტაციას, ოჯახურ ან ქონებრივ მდგომარეობას, სოციალურ კუთვნილებას, ან ნებისმიერ სხვა ნიშანს როგორც პრობლემის გამომწვევ მიზეზს, ან იყენებს შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას რომელიმე ჯგუფის მიმართ, წამყვანი არ უნდა აჰყვეს ასეთ დიალოგს და შეეცადოს შეურაცხმყოფელი განცხადების ავტორს დაუსვას შეკითხვა გამოთქმული მოსაზრების დასაბუთების მიზნით”).

განსახილველი შემთხვევიდან გამომდინარე ვერ ვისაუბრებთ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევაზე, რადგან არაა სახეზე დისკრიმინაციული პროგრამის გადაცემა. პირდაპირი ეთერი ეხებოდა აქტუალურ თემას, ცნობილი ფილმის ჩვენების ხელშემლას და გადაცემის მიზანი იყო სწორედ კრიტიკული შეკითხვების დასმა რესპონდენტისათვის, რასაც მოწმობს ყოველივე ზემოჩამოთვლილი. საჩივრის ავტორი თავადვე ადასტურებს, რომ წამყანმა არაერთხელ შეაწყვეტინა რესპონდენტს სიტყვა და ცდილობდა არ მიეცა მისთვის საშუალება განეხორციელებინა სიძულვილით მოტივირებული იდეების ადვოკატირება. ინგა გრიგოლია მთელი გადაცემის მანძილზე მიჯნავს საკუთარ პოზიციას რესპონდენტის პოზიციისგან.

კრების მონაწილეებმა ასევე განიხილეს ვახო სანაიას გადაცემა „ლამის ამბები“ გურამ ფალავანდიშვილის მონაწილეობასთან დაკავშირებით საჩივრის ავტორის მიერ დასმული საკითხები:

1. შესავალში წამყვანმა მაყურებელს გააცნო ყველა დაინტერესებული მხარის პოზიცია: ჩვენების ორგანიზატორობები, ხელისუფლება, ეკლესია, ქართული მარში.
2. გადაცემაში მიწვეული იყო 2 სტუმარი, რომლებსაც ჰქონდათ განსხვავებული პოზიციები.
3. ვახო სანაიამ გურამ ფალავანდიშვილს განუცხადა, რომ კინოთეატრში შესვლა და ფილმის გათიშვა არ არის პოზიციის გამოხატვის მშვიდობიანი ფორმა.
4. საჩივრის ავტორის მიერ კრიტიკულად შეფასებული კითხვა: „რა შინაარსს დებთ სიტყვებში ჰომოსექსუალური პროპაგანდა“, დასვა მღვდლის კომენტართან

დაკავშირებით, რომ ფილმის ნახვის შემდეგ ადამიანს შეიძლება ორიენტაცია შეცვალოს და არა იმ მიზნით, რომ საშუალება მისცემოდა რესპოდენტს უფრო ინტენსიურად გამოყენებინა სიძულვილის ენა.

5. ვახო სანაია მკაფიოდ განმარტავს, რომ ამ ჯაფუფებს აქვთ უფლება გააპროტესტონ ყველაფერი, რისი გაპროტესტებაც საჭიროდ მიაჩნიათ, მაგრამ არ აქვთ უფლება რაიმე ძალადობრივი ხერხი გამოიყენონ. აღნიშნული ქმედებით იგი ემიჯნება ყოველგვარი ძალადობის გამოყენებას.
6. ეს პოზიცია წამყვანმა გადაცემის მსვლელობისას რამდენჯერმე გააუღერა.
7. რესპოდენტი განმარტავს, რომ სიტყვა “პიდერასტია” ქუჩური გაგებით არის დამამცირებელი, მაგრამ ის ხმარობს არა ქუჩურ ტერმინს, არამედ სამედიცინო ტერმინოლოგიას.
8. წამყვანმა რამდენჯერმე უთხრა გურამ ფალავანდიშვილს, რომ ის ვერ ახერხებს თავისი პოზიციის ახსნას. ასევე რამდენჯერმე მიუთითა, რომ მას (გურამ ფალავანდიშვილს) აქვს აბსოლუტურად არასწორი შედარებები. ასევე სანაია ფალავანდიშვილს ეუბნება, რომ რა არის გარყვნილება, ეს მხოლოდ მისი (ფალავანდიშვილის) შეხედულებაა.
9. მთელი გადაცემის განმავლობაში ვახო სანაია არ გამოხატავს არანაირ განსხვავებულ პოზიციას მეორე სტუმრის მიმართ და არ უსმევს მას არანაირ დამაზუსტებელ თუ კრიტიკულ კითხვებს. ამის პარალელურად წამყვანს კრიტიკული კითხვები აქვს მხოლოდ გურამ ფალავანდიშვილის მიმართ.
10. გადაცემის ბოლოს ვახო სანაია კიდევ ერთხელ ეუბნება გურამ ფალავანდიშვილს, რომ მას არ აქვს უფლება, ჩაშალოს კონოჩვენება.
11. პირდაპირი ჩართვის დროს, დაპირისპირების ადგილიდან, მარში პრეტენზიებს უყენებს ტვ პირველს იმის გამო, რომ მათთვის არასასურველად ხდება მიმდინარე მოვლენების გაშუქება. მარშის მონაწილეები აცხადებენ, რომ ვახო სანაია ყველაზე ცინიკოსი ჟურნალისტია, ცხადია იგულისხმება, რომ სანაია სწორედ მათ მიმართ არის ცინიკური; რაშიც დანამდვილებით იკვეთება სიძულვილის ნარატივისგან გამიჯვნა, რადგან ცალსახაა, რომ ჟურნალისტი ვახო სანაია არ იზიარებს მათ იდეებს.

როგორც უკვე აღინიშნა, საავტორო გადაცემების პირდაპირი ეთერის დროს, შეუძლებელია გადაცემის ავტორმა წინასწარ განსაზღვროს, თუ რას იტყვის მისი რესპონდენტი, თუმცა ჟურნალისტები მოქმედებდნენ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას ფარგლებში და ოპონირებითა და მწვავე კითხვებით ცდილობდნენ შეურაცხმყოფელი განცხადებების ავტორებისთვის ხელი შეეძალათ ამგვარი განცხადებების გაკეთებაში.

კრების მონაწილეებმა ასევე განიხილეს საინფორმაციო გადაცემა „პირველი“-ს ნოემბრის 7 საათიანი ეთერისას ჟურნალიტ ანა ახალაიას მიერ ლევან ვასაძისგან ინტერვიუს ჩაწერასთან დაკავშირებით დასტული საკითხები და შეაჯამეს ფაქტობრივი გარემოებები:

1. ჟურნალისტის მიზანია მიმდინარე მოვლენების გაშუქება და შესაბამისად მან ინტერვიუ აიღო მოვლენებთან უშუალოდ დაკავშირებული პირისგან. რაც არ უნდა იქნეს დარღვევად მიჩნეული.
2. უსაფრთხოების კორიდირის ჩვენებასთან დაკავშირებით არ დარღვეულა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 52-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საზოგადოებისთვის დამცავი კორიდორის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა თავად კინოთეატრმა იმისთვის, რომ მისულ სტუმრებს ჰქონდათ ინფორმაცია უსაფრთხო გზების შესახებ და აღნიშნულის გაშუქებაც მოხდა სწორედ მოქალაქეთა ინფორმირების მიზნით.

ყოველივე ზემოგანხილულიდან გამომდინარე, თვითონებულირების კომისია ადგენს, რომ
არ დარღვეულა მაუწყებელთა შესახებ კანონის, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მოთხოვნები
და ურნალისტური ეთიკის პრინციპები. ტელეკომპანია პირველს საჯაროდ აქვს
გაცხადებული ადამიანის მირითადი უფლებების და თავისუფლებების განუხრელად დაცვა და
პატივისცემა მის სარედაქციო პოლიტიკაში.

ნანა აბურჯანიძე

6. მ. აბურჯანიძე
Nana Aburjaniashvili
Tbilisi
Georgian

გიორგი დარჯანია

ლევან კირვალიძე